საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 22 მარტი, 2017 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/29

ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის წესში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილებები აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესში:

მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ბ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,ბ) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სადიპლომო ნაშრომის/რეფერატის თემის დამტკიცება უნდა მოხდეს მე-7 სემესტრში, სამაგისტრო ნაშრომის თემის დამტკიცება - სამაგისტრო პროგრამის პირველი სასწავლო წლის განმავლობაში, ხოლო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროექტის თემატიკის წარდგენის ვადებს ადგენს პროექტის ხელმძღვანელი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, მაგრამ არაუგვიანეს 45 დღისა პროექტის წარდგენამდე“.

მე-3 მუხლის დაემატოს მე-12[1] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„12[1]. შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტის, კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აღდგენა ხდება შიდა მობილობის წესით.“

მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„6. აკადემიური საბჭო ამტკიცებს, სტუდენტთა მობილობისათვის და შიდა მობილობისათვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობას ფაკულტეტების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების საფეხურების მიხედვით.“

მე-4 მუხლის 11-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შემდეგნაირად:

„11. კომისია მობილობის მსურველი პირის განაცხადის დაკმაყოფილებისა და კრედიტების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შემოქმედებითი ტურის შედეგებისა და სტუდენტის სასწავლო ბარათში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რასაც აფორმებს დასკვნის სახით.“

მე-5 მუხლის 22[1]-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„22[1]. თუ სტუდენტმა შეასრულა სილაბუსით გათვალისწინებული მოთხოვნები, მიმდინარე შეფასებაში დააგროვა არანაკლებ 30 ქულა და საპატიო მიზეზის გამო ვერ გავიდა დასკვნით გამოცდაზე, უფლება აქვს დასკვნით გამოცდაზე წარდგეს განმეორებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადაში, რომელიც ფორმდება რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“

მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„2. მაგისტრატურის აკადემიურ საფეხურზე შემოქმედებითი ნაშრომის დაცვისა და შეფასების კრიტერიუმები გაწერილია შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაში.“

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**